

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 27 აპრილის სხდომის

ოქმი #3

2022 წლის 27 აპრილს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 35 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე და ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ყოველწლიური (მეათე) სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ვადების შესახებ;
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
3. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების დამტკიცება;
4. გეოლოგიის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისიის დამტკიცება;
5. ქიმიისა და გეოლოგიის დეპარტამენტების ხელმძღვანელების დამტკიცება;
6. სადოქტორო თემების და ხელმძღვანელების დამტკიცება;
7. სამაგისტრო და საბაკალავრო თემების და ხელმძღვანელების დამტკიცება;
8. სტუდენტთა სამივლინებო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება;
9. ზოგიერთი საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტების) თანამშრომელთა დამტკიცება.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ყოველწლიური (მეათე) სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ვადების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა რ.ხომერიკმა, დ.ძიძიგურმა, ი.ხუციშვილმა, დ.კერესელიძემ, ე.ნადარაიამ, ლ.მაჭავარიანმა, ი.ჩიკვაიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მეათე სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ვადების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: მეათე სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩატარდეს 2022 წლის 6-13 ივლისს.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. ცვლილებები პროგრამებში წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ. საკითხის შესახებ ასევე ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. ცვლილებები შეეხებოდა გეოლოგიის სამივე საფეხურის პროგრამებს, მათემატიკის სამაგისტრო და ქიმიის პროგრამას, ასევე ქიმიის საგნებთან დაკავშირებულ ცვლილებებს ეკოლოგიის, ბიოლოგიისა და გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების პროგრამებში (იხ. დანართები 1).

აზრი გამოთქვას: პროგრამულ ცვლილებებთან დაკავშირებით განმარტება გააკეთეს პროფესორებმა ო.ფურთუხიამ და ი.ჩიკვაიძემ. აზრი გამოთქვა პროფესორმა ნ.დორეულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 1).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების დამტკიცება. საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა, დარგობრივი სადისერტაციო კომისიების სხდომების გადაწყვეტილებების საფუძველზე (იხ. დანართები 2 - ოქმები).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები:

- მათემატიკა - თავმჯდომარე პროფ. თამაზ თადუმაძე, მდივანი. ასოც.პროფ. ოთარ ჯოხაძე;
- კომპიუტერული მეცნიერებები - თავმჯდომარე პროფ. ალექსანდრე გამყრელიძე, მდივანი. ასოც.პროფ. ლელა ალხაზიშვილი;
- ფიზიკა - თავმჯდომარე პროფ. ნანა შათაშვილი, მდივანი. ასოც.პროფ გიორგი ციციშვილი;
- ქიმია - თავმჯდომარე ასოც. პროფ. ავთანდილ ქორიძე, მდივანი. ასოც.პროფ. მარინა რუხაძე;

- ბიოლოგია - თავმჯდომარე პროფ. დიანა ძიძიგური, მდივანი. ასოც.პროფ. მარიამ გაიდამაშვილი;
- გეოგრაფია - თავმჯდომარე პროფ. ზურაბ სეფერთელაძე, მდივანი. ასოც.პროფ გიორგი მელაძე.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - გეოლოგიის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისიის დამტკიცება. საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. საკითხთან დაკავშირებით ასევე განმარტება გააკეთა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ (იხ. დანართი 4 - დარგობრივი კომისიის სხდომის ოქმი).

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ლ.მაჭავარიანმა. იგი დაინტერესდა ასისტენტ პროფესორების მუდმივმოქმედ სადისერტაციო კომისიაში შეყვანის საკითხით, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც დოქტორის ხარისხი სავალდებულო გახდა ასისტენტ პროფესორებისათვის. ამასთან დაკავშირებით ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია საკითხის გარკვევა და ფაკულტეტის საბჭოზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გეოლოგიის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისიის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს გეოლოგიის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. პროფ. დავით ლორთქიფანიძე
2. ასოც.პროფ. კარლო აქიმძე
3. ასოც.პროფ. გურამ ქუთელია
4. ასოც.პროფ. ზურაბ ლებანიძე
5. გიორგი ჭიჭინაძე, თსუ გეოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - ქიმიისა და გეოლოგიის დეპარტამენტების ხელმძღვანელების დამტკიცება. საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ შესაბამის დეპარტამენტებში ჩატარდა კრებები, სადაც მოხდა დეპარტამენტების ხელმძღვანელების არჩევა. ფაკულტეტის საბჭომ უნდა დაამტკიცოს არჩეული პირები (იხ. დანართი 5 - კრების ოქმები).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქიმიისა და გეოლოგიის დეპარტამენტების ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს:

- ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი იოსებ ჩიკვაიძე;
- გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – სადოქტორო თემების და ხელმძღვანელების დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და გეოლოგიის სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების სადისერტაციო თემების სათაურები და ხელმძღვანელები (იხ. დანართები 6.1 - დარგობრივი კომისიების ოქმები). ასევე, ფიზიკის დარგობრივი კომისიიდან შემოსული იყო წინადადება, რომ უფლება მისცენ ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თამარ ზაქარეიშვილის წარმოადგინოს სადისერტაციო ნაშრომი ინგლისურ ენაზე (იხ. დანართი 6.2).

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ი.ხუციშვილმა, ნ.დორეულმა, მ.ხაჩიძემ, ა.უგულავამ, ნ.შათაშვილმა, მ.ამაღლობელმა და სხვებმა. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს სადისერტაციო ნაშრომი ინგლისურ ენაზე წარმოდგენის შესახებ. დომინირებდა მოსაზრება, რომ აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომი ქართულადაც იქნება წარმოდგენილი. საბჭოს წევრების უმრავლესობამ დაუშვებლად მიიჩნია სადისერტაციო ნაშრომის მხოლოდ ინგლისურ ენაზე წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დოქტორანტების თემების სათაურებისა და მათი ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს შემდეგი დოქტორანტების სადისერტაციო თემების სათაურები და ხელმძღვანელები:

1) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „მათემატიკა“

ა) ირაკლი სიხარულიძე - სადისერტაციო თემა: „რიმანის ზედაპირებზე ელიფსურ განტოლებათა სისტემის ამონახსნთა სივრცის ზოგიერთი ალგებრული და ანალიზური თვისებების შესახებ“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: გრიგორ გიორგაძე (თსუ ასოცირებული პროფესორი).

ბ) ეკა ბოხუა - სადისერტაციო თემა: „ამონახსნის წარმოდგენის ფორმულები კვაზი-წრფივი სამართი ნეიტრალური დიფერენციალური განტოლებისთვის და მათი გამოყენება ოპტიმიზაციის ამოცანებში“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: თამაზ თადემაძე (თსუ პროფესორი), ნიკა გორგოძე (ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

გ) ნატალია ხარშილაძე - სადისერტაციო თემა: „წონიანი საწყისი ამოცანა წრფივ იმპულსურ სინგულარობებიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების-თვის“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ აშორდია (თსუ ა.რამაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი);

დ) ნინო რაზმაძე - სადისერტაციო თემა: „გამოკვლევები ფინანსურ მათემატიკაში. დისკრეტული მოდელები“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესარიონ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი);

ე) თეონა ნადირაძე - სადისერტაციო თემა: „ხარისხოვანი MR-ჯგუფთა მრავალსახეობები“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: მიხეილ ამდლობელი (თსუ ასოცირებული პროფესორი), ალექსეი მიასნიკოვი (პროფესორი, სტევენსის ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ჰუბუკენ, აშშ).

2) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „**ბიოლოგია**“

ა) ნანა ბარნაველი - სადისერტაციო თემა: „ასკილის გვარის (*Rosa L.*) მრავალფეროვნება, ტაქსონომია, კონსერვაცია და გავრცელება საქართველოში“; ხელმძღვანელები: მარინე ბოკერია, თსუ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ზეზვა ასანიძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტი, მკვლევარი;

ბ) მაია ჩუბინიძე - სადისერტაციო თემა: „სამხრეთ საქართველოს (მცირე კავკასიონი) ფუტურისნაირთა (*Hymenoptera; Apoidea*) ტაქსონომია, ბიოეკოლოგია, ევოლუცია და ზოოგეოგრაფია“; ხელმძღვანელები: მაკა მურვანიძე, თსუ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ჯაფოშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აგრარული უნივერსიტეტი.

3) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „**გეოგრაფია**“

ა) გიორგი კოდელაშვილი - სადისერტაციო თემა: „სტიქიური ჰიდროლოგიური და გეოლოგიური პროცესების შეფასება ქვემო ქართლის მაგალითზე“; ხელმძღვანელები: ასისტენტ პროფესორი გიორგი ბრეგვაძე (თსუ) და გეოგრაფიის დოქტორი გიორგი გაფრინდაშვილი.

ბ) ნინო შეშაბერიძე - სადისერტაციო თემა: „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეტროსპექტიული კარტოგრაფირება“. ხელმძღვანელი პროფესორი დალი ნიკოლაიშვილი (თსუ).

გ) ბაკურ ჯინორია - სადისერტაციო თემა: „მაღალმთიანი რეგიონების გეოეკოლოგიური გამოწვევები და სტიქიური პროცესების მართვა“ (მესტიის მუნიციპალიტეტის მაგალითზე); ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი (თსუ);

4) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „**ფიზიკა**“

ა) თამარ ზაქარეიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური დაზუსტებულ იქნას და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ატლას ექსპერიმენტის ადრონული კალორიმეტრის გამოძახილის შესწავლა და J/ψ და $\psi(2S)$ მეზონების დაბადების კვეთის გაზომვა პროტონ-პროტონული დაჯახებისას 13 ტევი მასათა ცენტრის ენერგიაზე“;

5) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „**გეოლოგია**“

ა) გიორგი მინდიაშვილი - ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლებანიძე (თსუ) და ასოცირებული პროფესორი დავით

ბლუაშვილი (სტუ); სადისერტაციო თემა: „გუჯარეთი-ხაჩკოვის მადნიანი ველის პეტროლოგია და გამადნების ლოკალიზაციის ფაქტორები“;

ბ) მირიან მაქაძე - ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი მარიამ ახალკაციშვილი (ოსუ); სადისერტაციო თემა: „ვულკანური პროცესების ზეგავლენა ეკოსისტემების აბიოტურ და ბიოტურ კომპონენტებზე - სამხრეთ საქართველოს ვულკანური არეალის მაგალითზე“.

7. მოისმინეს: დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - სამაგისტრო და საბაკალავრო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება. საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგინა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო და სამაგისტრო თემები და ხელმძღვანელები, ასევე ინფორმაციული სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო თემები და ხელმძღვანელები (იხ. დანართები 7).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი სამაგისტრო და საბაკალავრო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართები 7).

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი სამაგისტრო და საბაკალავრო თემები და ხელმძღვანელები მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების შესაბამისი პროგრამებისათვის (იხ. დანართები 7).

8. მოისმინეს: დღის წესრიგის მერვე საკითხი - სტუდენტთა სამივლინებო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება. საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სტუდენტთა სამივლინებო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სამივლინებო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ასოც.პროფ. ვაჟა ტრაპაიძე;
2. ასოც.პროფ. ქეთევან შავგულიძე;
3. ასოც.პროფ. ნათელა არჩვაძე;
4. ასოც.პროფ. გურამ ქუთელია;
5. სტუდენტი ლუკა ონიანი.

9. მოისმინეს: დღის წესრიგის მეცხრე საკითხი - ზოგიერთი საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტების) თანამშრომელთა დამტკიცება. საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა (იხ. დანართი 8). ასევე განიხილეს მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების ს/კ ინსტიტუტისათვის პროფესორ ომარ მუკბანიანის სახელის მინიჭების საკითხი.

აზრი გამოთქვა: ასოც. პროფესორმა იმ. ჩიკვაიძემ.


საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზოგიერთი საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა დამტკიცებისა და მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების ს/კ ინსტიტუტისთვის სახელის მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს:

- ა) დაინიშნოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ნახევარგამტართა ფიზიკის ს/კ ინსტიტუტის ფოტოენერგეტიკის განყოფილებაში გიზო კობახიძე მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე;
- ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების ს/კ ინსტიტუტში განხორციელდეს საკადრო ცვლილებები (იხ. დანართი 8);
- გ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების ს/კ ინსტიტუტს მიენიჭოს პროფესორ ომარ მუკბანიანის სახელი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

თ. დავითაშვილი